



MES 1 22 0000858911



29/07/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი

სპეციალისტი;

გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ლილე

საბა ნათენაძე - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს სკოლა-გიმნაზია პირველი

მაკა ტუკვაძე - დაწესებულების აკადემიური დირექტორი

შპს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა იმედი

ცოტნე გველესიანი - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - მერმისი

მანანა მალაზონია - დაწესებულების წარმომადგენელი

ლალი ვაშაკიძე - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს კანდიდი საშუალო სკოლა

მერი ქვრივიშვილი - დაწესებულების დირექტორი

ირმა სარდლიშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს ლილე

ქეთევან ბაცანკალაშვილი

თამარ მიდელაშვილი

შპს სკოლა-გიმნაზია პირველი

ქეთევან ბოტკოველი

ირინა დვალი

შპს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა იმედი

ლევან ღურწკაია

ლია გრიგოლია

შპს არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - მერმისი

ირმა ხუციშვილი

თეა გაბელაია

შპს კანდიდი საშუალო სკოლა

ლიანა კობესაშვილი

ლევან ღურწკაია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს

თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 19 ივლისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ლილეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სკოლა-გიმნაზია პირველის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა იმედის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - მერმისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს კანდიდი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს ლილეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა და თამარ მიდელაშვილმა. ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 30 და 31 მაისს. ექსპერტის თქმით, დაწესებულება აკმაყოფილებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამივე სტანდარტით გათვალისწინებულ პირობებს. ქეთევან ბაცანკალაშვილმა აღნიშნა, რომ შპს ლილეს 2014 წლიდან ჰქონდა საკუთარი ოთხსართულიანი

შენობა, სადაც განთავსებული იყო როგორც შიდა, ასევე ღია სპორტული მოედანი და კეთილმოწყობილი ეზო. ექსპერტმა დაამატა, რომ ორივე სპორტული მოედანი აღჭურვილი იყო შესაბამისი სპორტული ინვენტარით, რაც უზრუნველყოფდა მრავალფეროვან სპორტულ აქტივობებს. აქვე, ქეთევან ბაცანკალაშვილმა აღნიშნა შიდა სპორტულ დარბაზში განთავსებული მეკლდეურთა კედელი. მისი თქმით, სკოლას ჰყავდა შესაბამისი სპეციალისტი, რის საფუძველზეც დაარსებული იყო კლუბი, რომლის საქმიანობაშიც აქტიურად იყვნენ სკოლის მოსწავლეები ჩართული. ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნული მიმართულებით სკოლა აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით და დაწესებულებაში შემუშავებული იყო უსაფრთხოების ნორმები.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას და ის მოიცავდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა კომპონენტს. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა არჩევით საგნებზე და აღნიშნა, რომ მე-X კლასში ისწავლებოდა „მსოფლიო კულტურა“, მე-XI კლასში „სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა“, ხოლო მე-XII კლასში ისწავლებოდა „კონსერვაციული ბიოლოგიის საფუძვლები“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა დამატებითი მომსახურება, კერძოდ, დაწყებით და საბაზო საფეხურზე ინგლისურენოვანი კლუბი, ქართული ცეკვის წრე, მეკლდეურობა, ანალიტიკური კლუბი და წიგნის კლუბი. ქეთევან ბაცანკალაშვილმა აქვე დაამატა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული აღნიშნული კლუბების საქმიანობაში და სკოლა ითვალისწინებდა მოსწავლეთა ინტერესებს. ამის დასტურად ექსპერტმა განმარტა, რომ მოსწავლეთა ინტერესები იქნა გათვალისწინებული წიგნის კითხვის კლუბის პროგრამის შემუშავების პროცესში. კერძოდ, მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით შეირჩა დაწესებულების მიერ ინგლისურენოვანი ლიტერატურა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მუდმივად ახორციელებდა მოსწავლეთა გამოკითხვას, რომლის მიზანიც იყო მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სასწავლო გარემო.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო 18 საკლასო ოთახი და ყველა მათგანი ბუნებრივი განათებით იყო უზრუნველყოფილი. მან განმარტა, რომ სკოლა მის მიერ მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის შესაბამის ინდივიდუალურ მერხსა და სკამს ფლობდა. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა 16 მოსწავლიდან გაიზარდა 18 მოსწავლემდე, შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. ასევე, ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა სკოლის მიერ ადაპტირებული სველი წერტილების მეოთხე სართულიდან პირველ სართულზე გადატანასთან დაკავშირებით, რაც დაწესებულებამ ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად განახორციელა. გარდა ამისა, ექსპერტმა აღნიშნა სკოლის მხრიდან ვიდეო კამერების დამატების საკითხიც. კერძოდ, ქეთევან ბაცანკალაშვილის თქმით, სრულად არ კონტროლდებოდა დაწესებულების ეზო და ღია სპორტული მოედანი, რის საფუძველადაც ექსპერტთა მხრიდან გაიცა 4 ვიდეო კამერის დამატების რეკომენდაცია. ექსპერტმა აქვე დაამატა, რომ აღნიშნული სკოლამ გაითვალისწინა და წარმოადგინა შესაბამისი შესყიდვის დოკუმენტაცია და დამონტაჟებული ვიდეო კამერების ამსახველი ფოტო-მასალა.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, ასევე, ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა 25 მასწავლებელი. მათგან 3 მასწავლებელს ჰქონდა მოწვეული მასწავლებლის სტატუსი, 2 იყო მამიებელი მასწავლებელი, 18 მასწავლებელს ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო ერთს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში გამოცხადებული ჰქონდა, კანონმდებლობის შესაბამისი წესით, დაწყებითი მასწავლებლის შესახებ ვაკანსია. ქეთევან ბაცანკალაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ადამიანური რესურსი აკმაყოფილებდა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის ექიმთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა კვალიფიციური კადრი, თუმცა მისი სტატუსი არ შეესაბამებოდა განათლების და

მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის 41/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე გამოაცხადა შესაბამისი წესით ექიმის ვაკანსია, ხოლო ცენტრში არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების დროს წარმოადგინა აღნიშნულ ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება.

ქეთევან ბაცანკალაშვილმა, აგრეთვე ისაუბრა სკოლის მიერ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულყოფაზე და აღნიშნა, რომ სკოლას გაფორმებული ჰქონდა „ჩხირკედელასთან“ ხელშეკრულება, რაც გაამრავალფეროვნებდა საგაკვეთილო პროცესს.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხვით მიმართა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, თუ განახორციელა სკოლამ სასწავლო წლის ბოლოს რაიმე სახის კვლევა, რომლის საფუძველზეც იგეგმებოდა ცვლილებების განხორციელება 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა, საბა ნათენაძემ განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ხორციელდებოდა კონკრეტული კვლევების ანალიზი, რომელზე დაყრდნობითაც იგეგმებოდა საათობრივ ბადეში გარკვეული ცვლილებები უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე ინგლისური ენის კვირეული დატვირთვის ერთი საათით გაზრდა. ასევე, იგეგმებოდა საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნის ცვლილება. მან დაამატა, რომ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სკოლა გეგმავდა აღნიშნულ საფეხურზე მეწარმეობის საფუძვლების დამატებას. აქვე, საბა ნათენაძემ განმარტა, რომ სკოლამ მოსწავლეებს გააცნო მეწარმეობის საფუძვლების პროგრამა და, მისი თქმით, მოსწავლეებმა დაინახეს კავშირი „ჩხირკედელას“ ლაბორატორიასთან. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ სთხოვა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, თუ რის საფუძველზე უმატებდა დაწყებით საფეხურზე სკოლა ინგლისური ენის კვირეულ დატვირთვას ერთ საათს. საბა ნათენაძემ განმარტა, რომ სკოლა თანამშრომლობდა კონკრეტულ ორგანიზაციებთან, რომლისგანაც იღებდა დამხმარე სახელმძღვანელოებს, ხოლო აღნიშნული სახელმძღვანელოების სრული პროგრამის მიზნების მისაღწევად არ იყო საკმარისი მოცემული საათობრივი დატვირთვა და საჭიროებდა ცვლილებას.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა მექანიზმით ხელმძღვანელობდნენ არჩევითი საგნისა და მეორე უცხო ენის შეთავაზების დროს, ჰქონდა თუ არა შესაბამისი გამოკითხვა ჩატარებული სკოლას. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა, საბა ნათენაძემ განმარტა, რომ მეორე უცხო ენის შეთავაზება მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვების საფუძველზე ხდებოდა. აქვე, მან დაამატა, რომ სკოლა ასევე კითხვარების საშუალებით გეგმავდა სკოლის მისიის ცვლილებას.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მაღაზონია, დაინტერესდა რა იყო მიზეზი სკოლის მხრიდან მისიის ცვლილების. საბა ნათენაძემ განმარტა, რომ სკოლას აღნიშნული მისია შემუშავებული ჰქონდა 2016 წელს, რომელიც საჭიროებდა განახლებასა და თანამედროვე მოთხოვნებთან და საჭიროებებთან დაკავშირებას. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა აქვე დაამატა, რომ აღნიშნული ცვლილება სკოლის მხრიდან განხორციელდებოდა მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების სრული ჩართულობით.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 260 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლილეს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 260 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ლილეს (ს/კ: 209440728) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 260-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

2. შპს სკოლა-გიმნაზია პირველის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და ირინა დვალმა. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამივე სტანდარტით გათვალისწინებულ პირობებს და ექსპერტთა მხრიდან გაცემული იყო მხოლოდ რჩევები. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნები, მათ შორის დისტანციური სწავლების წარმართვის წესი და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლა იყენებდა მესამე მოდელის საათობრივ ბადეს, რომელიც შეთანხმებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულ საათობრივ ბადეში გათვალისწინებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ძირითადი და არჩევითი საგნები. ექსპერტის განცხადებით, სკოლას მეორე უცხო ენად არჩეული ჰქონდა რუსული ენა. აქვე, მან აღნიშნა, რომ 2021-2022 სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო აღნიშნული,

თუ რა პრინციპით მოხდა მოსწავლეთა მშობლებისთვის მეორე უცხო ენის შეთავაზება და არჩევა. თუმცა, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო 2020-2021 სასწავლო წლის დასასრულს მოსწავლეთა მშობლებთან შეხვედრის ოქმი, სადაც აღწერილი იყო დაწესებულების მიერ რუსული და გერმანული ენების შეთავაზება, რომლის საფუძველზეც მშობლებს არჩეული ჰქონდათ რუსული ენა. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობდა ინგლისური ენის გაძლიერებულად სწავლებას. ამისთვის, ექსპერტის თქმით, სკოლას გაზრდილი ჰქონდა სასკოლო საათობრივ ბაღში ინგლისური ენის საათები, რაც ბმაში იყო დაწესებულების მისიასთან, რომლის მიხედვითაც სკოლას ხელი უნდა შეეწყო ინგლისური ენის გაძლიერებულად შესწავლაში. ექსპერტის განმარტებით, სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გაუთვალისწინებელი დამატებითი სავალდებულო მომსახურების სახით მოსწავლეებს სთავაზობდა ფსიქოლოგის საათსა და სხვადასხვა სახის კლუბებს, მათ შორის, ცეკვის, კარატის, ხელოვნების, ვოკალის, წიგნის კითხვის. ასევე, სკოლას არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის ჰქონდა შექმნილი ქართული ენის წრე. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლობდნენ არაქართულენოვანი მოსწავლეებიც და აღნიშნული წრის არსებობა ასევე პასუხობდა დაწესებულების მისიას. კერძოდ, სკოლა ზრუნავდა ყველასათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე და სხვადასხვა აღმსარებლობის და ეროვნების მოსწავლეებისთვის სოციალურ ადაპტაციაზე. ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ უცხოენოვანი მოსწავლეები სხვადასხვა ჯგუფში იყვნენ გადანაწილებული მათი ენის ფლობის დონის მიხედვით და შესაბამისად, მასწავლებლებს ჰქონდათ მათთვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული იყო ინკლუზიური განათლების დებულება. აქვე, მან დაამატა, რომ სკოლას 2021-2022 სასწავლო წელს ჰყავდა ოთხი სსსმ მოსწავლე, რომელთათვისაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შედგენილი იყო სასწავლო წლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში და მათთან მუშაობდა სპეცმასწავლებელი. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის შეფასების სისტემა ასევე შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას სადაც განსაზღვრული იყო შეფასების მიზნები, ამოცანები, პრინციპები, ქულათა სახეობები. ექსპერტის თქმით, სკოლის მიერ გამოიყენებოდა შეფასების სხვადასხვა ფორმა. ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, სკოლას ასევე ჰქონდა განსაზღვრული შემაჯამებელი დავალების ჩატარების წესი, ვადები, პროცედურა, გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ წესში არ იყო გათვალისწინებული მობილობის პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები. ამიტომ, ექსპერტმა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, შეემუშავებინა და აესახა შეფასების წესში მოსწავლეთა მობილობასთან დაკავშირებული პროცედურები. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ 2021 წლის 1 ნოემბერს სკოლა ჩაერთო ახალი სკოლის მოდელში და პედაგოგები ჩაერთვნენ საგნობრივ ვებინარებსა და შეხვედრებში. შესაბამისად, ექსპერტის განმარტებით, მასწავლებლები ინტენსიურად მუშაობდნენ კომპლექსური დავალებების შექმნასა და განხორციელებაზე. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ ვიზიტის პერიოდში, მათი მხრიდან, მოხდა მასწავლებლების განმავითარებელი კომენტარების გადამოწმება, რის შედეგადაც ექსპერტმა მიერ გაიცა რჩევა, რომ მასწავლებლებს შეფასების პროცესში გამოეყენებინათ მეტი კონკრეტიკა და განმავითარებელ კომენტარებში აესახათ ცოდნისა და უნარების ხარისხობრივი ანალიზი, ყველა ძლიერი და სუსტი მხარის მითითებით. ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ სკოლას დებულებით ჰქონდა განსაზღვრული მშობლების ინფორმირების წესი. აქვე, მან აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სკოლა მუშაობდა „დემინგის“ ციკლით, ამასთან, სკოლას შემუშავებული ჰქონდა სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლა სხვადასხვა სახის კვლევას ახორციელებდა კითხვარების სახით, რომელთა ანალიზის შედეგების გათვალისწინებასაც გეგმავდა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებითაც. მან განმარტა, რომ სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, ოთხსართულიან

შენობაში. ექსპერტის განცხადებით, სკოლის 12 საკლასო ოთახში განთავსებული იყო 198 ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლას ჯამში ჰქონდა 280 ინდივიდუალური მერხი და სკამი, რომლის ნაწილიც დასაწყობებული იყო. ექსპერტმა აღწერა, რომ შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო მცირე სპორტული დარბაზი, მეორე სართულზე კი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი განათებით, გამწოვით, ონკანით და კარადებში განთავსებული საჭირო ინვენტარით. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეოთხე სართულზე განთავსებულ სამ საკლასო ოთახში იყო მცირე ზომის ფანჯრები, თუმცა სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა წინა მონიტორინგის შედეგად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია და აღნიშნულ ოთახებში დამონტაჟებული იყო ბუნებრივი განათების მქონე ნათურები. ქეთევან ბოტკოველმა, ასევე, ისაუბრა სკოლის ბიბლიოთეკაში არსებულ წიგნად ფონდზე, რომელიც შედგებოდა 2384 ერთეული წიგნისგან, მათ შორის იყო გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა 17 კომპიუტერი, მათგან 10 განთავსებული იყო კომპიუტერულ ლაბორატორიაში, 1 ბიბლიოთეკაში, 3 დირექციისთვის განსაზღვრულ სივრცეში, ხოლო 3 კომპიუტერი განთავსებული იყო სამასწავლებლოში. ექსპერტმა აქვე აღნიშნა, რომ სკოლის ვებ-გვერდი და ელექტრონული ჟურნალი ასრულებდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. ასევე, სკოლას შემუშავებული ჰქონდა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები და საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა. გარდა ამისა, ექსპერტის თქმით, სკოლაში შექმნილი იყო საგანგებო სიტუაციების შტაბი და შესაბამის ადგილებზე განთავსებული იყო 9 ცეცხლმაქრი და კვამლის დეტექტორები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც შეთანხმებული ჰქონდა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან. აქვე, მან დაამატა, რომ სკოლას ჰყავდა 24 საათიან რეჟიმში დაცვა და, ასევე, საშტატო განრიგით გათვალისწინებული ჰყავდა დარაჯი. ექსპერტის განმარტებით სკოლა აღჭურვილი იყო კამერებით. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა შინაგანაწესი და დებულება.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა აგრეთვე ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებითაც და განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა 44 თანამშრომელი, მათგან 29 იყო მასწავლებელი. სკოლას ჰყავდა 18 უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე, 5 მასწავლებელი იყო მოწვეული მასწავლებლის სტატუსის მქონე შესაბამისი საათობრივი დატვირთვით, 2 იყო მაძიებელი მასწავლებელი და 4 უსტატუსო. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ რამდენიმე მასწავლებელს გავლილი ჰქონდა მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა და ელოდებოდნენ სტატუსის ამაღლებას, ხოლო უსტატუსო მასწავლებლებთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა გამოცდაზე გასვლის დამადასტურებელი ბარათები. ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. აქვე, მან აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების განხორციელებას ხელმძღვანელობდა სკოლის დირექტორი, ხოლო სკოლის ხარისხის მართვის სამსახური კოორდინირებას უწევდა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და ამ მიზნით ახორციელებდა საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს, სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის მიზნით გაკვეთილზე დასწრებას, წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით, კათედრებს შორის სადისკუსიო შეხვედრებს. ექსპერტის თქმით, სკოლა უზრუნველყოფდა მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებული ტრენინგების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, დაზუსტების მიზნით, მიმართა ექსპერტებს, თუ რამდენად შესაძლებელი იყო სკოლის მცირე ზომის სპორტულ დარბაზში სრულყოფილი სპორტის გაკვეთილების ჩატარება. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნულ კითხვაზე

განმარტა, რომ სკოლა სპორტული დარბაზის ფართის შესაბამის აქტივობებს ახორციელებდა. აქვე, მან დაამატა, რომ დაწესებულება გეგმავდა სკოლის მიმდებარედ არსებულ ერთ-ერთ კერძო სკოლასთან მემორანდუმის გაფორმებას და, ასევე, სამოქმედო გეგმით ჰქონდათ გათვალისწინებული გვერდით მდგომი შენობის შესყიდვა. სკოლის აკადემიურმა დირექტორმა, მაკა ტუკვაძემ განმარტა, რომ სკოლა მცირე სპორტულ დარბაზთან ერთად აქტიურად იყენებდა ღია მუნიციპალურ სპორტულ მოედანს.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა იკითხა, თუ მოხდა ვიზიტის პერიოდში უცხოენოვან მოსწავლეებთან გასაუბრება. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში აღნიშნული მოსწავლეები არ იმყოფებოდნენ საქართველოში. აქვე, მან დაამატა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მასწავლებლების მიერ სრულყოფილად იყო წარმოდგენილი მოსწავლეებთან მუშაობის გეგმები და პროცედურები. ექსპერტმა, ირინა დვალმა აღნიშნა, რომ თითოეული მოსწავლისთვის დეტალურად იყო გაწერილი სამუშაო გეგმები და აქტივობები, რასაც მოჰყვებოდა მასწავლებელთა რეფლექსია. ექსპერტის თქმით, აღნიშნული საშუალებას იძლეოდა სრულყოფილი სურათი დაენახათ ექსპერტებს სკოლის მუშაობაზე უცხოენოვან მოსწავლეებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას, თუ რა მექანიზმები ჰქონდათ შემუშავებული მესამე საფეხურზე ჩარიცხვის მსურველი სწავლას ჩამოცილებული მოსწავლის წინარე განათლების გადასამოწმებლად. სკოლის აკადემიურმა დირექტორმა, მაკა ტუკვაძემ განმარტა, რომ პირველ რიგში სკოლა შეისწავლიდა მოსწავლეთა პირად საქმეს და ამის შემდეგ დაგეგმავდა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო აქტივობებს.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეედლოთ 219 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

შესაბამისად, საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-გიმნაზია პირველის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 219 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სკოლა-გიმნაზია პირველს (ს/კ: 243571639) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 219-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს სხდომას 16:00 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი, მანანა ჯინჭარაძე.

3. შპს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა იმედის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლევან ღურწკაიამ და ლია გრიგოლიამ. ექსპერტმა, ლევან ღურწკაიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო მოწესრიგებული და თანამშრომლობითი გარემო. მისი თქმით, სკოლას არ უფიქსირდებოდა ავტორიზაციის სტანდარტების მიმართ შესაბამისობა, თუმცა ექსპერტთა მხრიდან გაიცა სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაციები, რომლებიც, ექსპერტის თქმით, სკოლამ გაითვალისწინა.

ექსპერტმა, ლევან ღურწკაიამ განაცხადა, რომ სკოლა ფლობდა კომპიუტერულ ლაბორატორიას, რომელიც განთავსებული იყო შენობის მეოთხე სართულზე. მისივე განმარტებით, დაწესებულებაში არ იყო ლიფტი, რაც, თავის მხრივ, ეტლით მოსარგებლე პირებს უზღუდავდა გადაადგილების საშუალებას დაწესებულების სართულებზე და, შესაბამისად, ეტლით მოსარგებლე პირი ვერ ისარგებლებდა კომპიუტერული ლაბორატორიით. ექსპერტებმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გასცეს რეკომენდაცია, სკოლას ლაბორატორია გადაეტანა პირველ სართულზე. ლევან ღურწკაიას განმარტებით, სკოლისაგან მიიღეს პასუხი, რომ დამატებით ლაბორატორიას გახსნიდნენ პირველ სართულზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ფლობდა შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერებს.

ექსპერტმა, ლევან ღურწკაიამ განაცხადა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ SWOT ანალიზში, განსაზღვრული იყო დაწესებულების მხოლოდ ძლიერი და სუსტი მხარეები. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ ანალიზში, ასევე, დაწესებულებას გაეთვალისწინებინა შესაძლებლობები და საფრთხეები.

ლევან ღურწკაიამ განაცხადა, რომ სკოლას არ ჰყავდა ექიმი. შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია სკოლის მიერ ექიმის აყვანის თაობაზე. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სკოლამ აღნიშნულ პოზიციაზე გამოაცხადა ვაკანსია და აიყვანა ექიმი.

ექსპერტმა, ლევან ღურწკაიამ განაცხადა, რომ სკოლას მასწავლებლების გარკვეულ ნაწილთან არ ჰქონდა შესაბამისი ხელშეკრულება დადებული, კერძოდ, ხელშეკრულებაში არ იყო განსაზღვრული მასწავლებლის სტატუსი. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სკოლამ ვიზიტის პერიოდში ხელშეკრულებები ექსპერტთა მითითებისამებრ ჩაასწორა.

ექსპერტმა, ლევან ღურწკაიამ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ დაწესებულებამ ექსპერტების მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა, თუმცა, აქვე აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერზე დაყრდნობით, სკოლის ერთ-ერთი შენობა ჯერ კიდევ არ იყო ექსპლუატაციაში შესული. ექსპერტის თქმით, სკოლაში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული და გამართული იყო.

ექსპერტმა, ლია გრიგოლიამ განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საათობრივი ბადე შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. მისივე განმარტებით, სკოლაში იყო თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მაღაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, რა ეტაპზე იყო სკოლა შენობის ექსპლუატირების თვალსაზრისით და რა პერსპექტივა იკვეთებოდა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისინი სასკოლო შენობის სამ კორპუსს ფლობდნენ, მშენებარე კორპუსის გაუთვალისწინებლად, კი სკოლის ტერიტორია მოიცავდა 4000 მ²-ს, რაც საკმარისი იყო სკოლაში არსებული და სკოლის მიერ მოთხოვნილი კონტიგენტისათვის. ამავე წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ განაცხადის საფუძველზე, ერთ თვეში სკოლის შენობა შევიდოდა ექსპლუატაციაში.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, ავტორიზაციის განაცხადით მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობის მიღების შემთხვევაში, იქნებოდა თუ არა გათვალისწინებული აღნიშნული ექსპლუატაციაში არ შესული ფართი. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებული კორპუსები სრულად აკმაყოფილებდა იმ მოსწავლეთა რაოდენობას, რომელსაც ითხოვდა სკოლა, ანუ 1100 მოსწავლეს და მასში არ იყო გათვალისწინებული ექსპლუატაციაში არ შესული შენობა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, თუ რატომ არ იყო სკოლაში გამოვლენილი პრობლემები და შეუსაბამობები (მაგალითად, მასწავლებლებთან ხელშეკრულებების მოქმედი კანონის დარღვევით გაფორმება, სკოლის ვებ-გვერდზე მწირი ინფორმაციის არსებობა, დაწესებულებაში ექიმის პოზიციის არარსებობა, SWOT ანალიზის სათანადო მეთოდოლოგიით შეუსრულებლობა) ექსპერტების მხრიდან შეფასებული, როგორც ხარვეზი. ეკატერინე კვირიკაშვილმა აქვე აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დაუსრულებელი SWOT ანალიზი არ იძლეოდა დაწესებულების მიერ შემუშავებული ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სრულყოფილ და დამაჯერებელ სახეს. საბჭოს წევრმა ექსპერტებს მიმართა კითხვით, დაეზუსტებინათ, აღნიშნული ხარვეზების ფონზე, რატომ მიიჩნევდნენ ექსპერტები, რომ ავტორიზაციის ყველა ქვესტანდარტი სკოლის მიერ იყო დაკმაყოფილებული. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა ლევან ღურწკაიამ განმარტა, რომ ექსპერტების მხრიდან გაცემული რეკომენდაცია აღნიშნული პრობლემების გამოსწორებას ისახავდა მიზნად, რომელზე მუშაობაც სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო. მისივე განმარტებით, სკოლას ჰქონდა ანალიზი წარმოდგენილი, თუმცა SWOT ანალიზის ფარგლებში ის არ იყო სრულყოფილი, რის შესაბამისად, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ SWOT ანალიზი სკოლას გაეუმჯობესებინა.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, ტარდებოდა თუ არა სპორტის გაკვეთილები დაწესებულების ჩაუბარებელ შენობაში. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა ლევან ღურწკაიამ განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულების ჩაუბარებელ შენობაში სპორტის გაკვეთილები არ ტარდებოდა. სკოლის დირექტორმა დაადასტურა, რომ აღნიშნულ შენობაში სპორტის გაკვეთილები არ ტარდებოდა.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, განემარტათ, თუ რა იყო სკოლის საუკეთესო პრაქტიკა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეები არ ემზადებოდნენ კერძო რეპეტიტორებთან, რაც მისივე განმარტებით, სკოლის მასწავლებლებისა და თითოეულ საგანში ორგანიზებული წრეების არსებობის დამსახურება იყო, რაც საშუალებას აძლევდა მოსწავლეებს სიღრმისეულად შეესწავლათ თითოეული საგანი და, ასევე, მიეღოთ საკმარისი ცოდნა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისათვის.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, გათვალისწინებული ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ჩაუბარებელი შენობის ფართი სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ აღნიშნული ფართი განაცხადში არ ჰქონდათ გათვალისწინებული. ექსპერტმა, ლევან ღურჯაიამ დაადასტურა, რომ ჩაბარებული ფართი საკმარისი იყო არსებული და სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეების რაოდენობისათვის.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 1100 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

შესაბამისად, საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა იმედისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1100 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა იმედს (ს/კ: 212698259) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1100-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები. კერძოდ, 2022 წლის 1 სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ერთობლივი 41/ნ ბრძანებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება. ასევე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია გაითვალისწინოს ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული გასაუმჯობესებელი მხარეები სსსმ მოსწავლეების ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით და წარმოედგინოს გათვალისწინების შესაბამისი ამსახველი დოკუმენტაცია ცენტრში. გარდა ამისა, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ცენტრში წარმოედგინა შენობის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო აღნიშნული შენობის კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღებამდე იკრძალებოდა საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა.

საბჭოს სხდომაზე 16:50 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 17:00 საათზე.

4. შპს არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - მერმისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ირმა ხუციშვილმა და თეა გაბელაიამ. ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 7 და 8 ივნისს. ექსპერტის თქმით, სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის ქ. N17ა-ში. დაწესებულება ახორციელებდა სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. ირმა ხუციშვილის განმარტებით, ავტორიზაციის განაცხადის მიხედვით სკოლა მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად ასახელებდა 300-ს, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ გამოთქვა მზაობა, არსებული რესურსიდან გამომდინარე, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 240 მოსწავლით. ექსპერტმა თქვა, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდში სწავლობდა 195 მოსწავლე. ირმა ხუციშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შეთანხმებული იყო პედაგოგიურ საბჭოსთან და დამტკიცებული იყო დირექტორის ბრძანებით. ექსპერტ, ირმა ხუციშვილის განცხადებით, სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ ის გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან, სადაც განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ინგლისური ენის გაძლიერებულ შესწავლას. ექსპერტის თქმით, სკოლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე ცხადი იყო, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყო მოსწავლეზე და გათვალისწინებული იყო მათი საჭიროებები.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში დაწყებული იყო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის და განხორციელების პროცესი. ექსპერტებმა შეისწავლეს საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები, სადაც წარმოდგენილი იყო საგნობრივი კურიკულუმები, თემატური მატრიცები, შესრულებული დავალებების ანგარიშები და მათი ანალიზი. ექსპერტის თქმით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინას და ასევე სტანდარტს ზევით მომსახურებას, როგორც იყო სასერტიფიკაციო კურსები გერმანულ და ინგლისურ ენებში. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობდა მსოფლიო ხალხთა მითებს, სიმღერას და ა.შ.

ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში ტარდებოდა სხვადასხვა პროექტი მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. მისი განმარტებით, მოსწავლეები თავად ქმნიდნენ სასწავლო რესურსს. სკოლის სასწავლო გეგმა პასუხობდა შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევდა მათ, შეეძინათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, ღირებულებები და უნარები.

ექსპერტის განმარტებით, შეფასების სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს შეესაბამებოდა. მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი შეფასების რუბრიკების შედგენის პროცესში. საგნობრივ კათედრებზე ხდებოდა მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას განსაზღვრული ჰქონდა შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადად მოსწავლის სკოლაში გამოცხადებიდან 2 კვირა. ექსპერტების მხრიდან გაიცა

რჩევა, რომ აღდგენის ვადად სკოლას განესაზღვრა 1 სემესტრი მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით. ექსპერტ, ირმა ხუციშვილის თქმით, სკოლაში შემუშავებული იყო სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, რაც გულისხმობდა პროცესის დიაგნოსტიკას და სასკოლო გეგმის სწავლების ხარისხის შეფასებას.

ექსპერტის განმარტებით, შენობა განთავსებული იყო 1523მ²-ზე, ფართის მეპატრონე იყო თავად სკოლა. დაწესებულება განთავსებული იყო 4 სართულიან ნაგებობაში. ექსპერტმა თქვა, რომ შენობაში იყო 15 სასწავლო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, ღია სპორტული მოედანი და დახურული სპორტული დარბაზი. ექსპერტის თქმით, სკოლაში იყო მერხების და სკამების საჭირო რაოდენობა, იმისათვის, რომ სკოლას საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 240 მოსწავლისთვის. ექსპერტმა აღნიშნა ისიც, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა სხვადასხვა სპორტულ აქტივობას. კერძოდ, ფეხბურთს, კალათბურთს, მინი ფეხბურთს და ა.შ.

ექსპერტის განმარტებით, შენობა ადაპტირებული იყო სსსმ მოსწავლეებისთვის. აქვე, მან დაამატა, რომ ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე. ირმა ხუციშვილის განმარტებით, დაწესებულებაში იყო კომპიუტერები, ლეპტოპები, საკლასო ოთახებში დამონტაჟებული იყო მონიტორები. დაწესებულებაში დაცული იყო პერსონალისა და მოსწავლეების უსაფრთხოება, შემუშავებული იყო ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები, რაც მიზნად ისახავდა ეფექტიანი რეაგირების უზრუნველყოფას.

ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა ექიმის კაბინეტი, რომელიც სრულად იყო აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. სკოლას ჰყავდა ექთანი. ექსპერტების ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და გამოაცხადეს ვაკანსია ექიმის პოზიციაზე.

ირმა ხუციშვილის განმარტებით, ვიდეოკამერებით ვერ ხდებოდა სრული კონტროლი შენობის პერიმეტრზე და ექსპერტების რეკომენდაციით, სკოლამ დაამონტაჟა 3 ვიდეოკამერა. მან აღნიშნა ისიც, რომ დასკვნას თან ახლდა დამონტაჟებული ვიდეოკამერების ფოტოსურათები.

ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში პედაგოგთა საერთო რაოდენობა იყო 32. მათგან 1 იყო წამყვანი სტატუსის მქონე, 27- უფროსი მასწავლებელი, 1 მოწვეული პედაგოგი, 2 კი მაძიებელი მასწავლებელი. სკოლას ჰყავდა 1 უსტატუსო მასწავლებელი, თუმცა, ექსპერტის თქმით, ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოაცხადა კონკურსი ვაკანტური ადგილის შესავსებად. მასწავლებლის მიღება ხდებოდა შიდა და ღია კონკურსის საშუალებით. ექსპერტის განცხადებით, მასწავლებლებთან და სკოლის პერსონალთან გაფორმებული იყო კანონმდებლობის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებები. ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰქონდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დებულება, რის საფუძველზეც გაწერილი იყო სამუშაო გეგმა და სკოლის მიზნები. პედაგოგები საუბრობდნენ ასევე კათედრებს შორის თანამშრომლობაზე, გამოიყენებოდა შიდა რესურსი, საჭიროების შემთხვევაში სკოლის დირექტორი და მოადგილე მასწავლებლებს უტარებდნენ ტრენინგებს. ექსპერტის თქმით, პედაგოგები ასევე, მონაწილეობდნენ მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. ირმა ხუციშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში შექმნილი იყო ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის გარემო.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ რომელი საათობრივი ბადით ხელმძღვანელობდა დაწესებულება.

სკოლის წარმომადგენელმა, ლალი ვაშაკიძემ უპასუხა, რომ სკოლა არ არღვევდა სტანდარტის მიერ წარმოდგენილ საათობრივ რაოდენობას და დაწესებულებას 25 %-ის ფარგლებში ჰქონდა საათობრივი შიდა გადანაცვლება. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, სკოლისთვის პრიორიტეტი იყო ინგლისური ენის სწავლება და შესაბამისად, ინგლისური ენის საათები იყო დამატებული საათობრივ ბადეში. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულებას მცირე საათობრივი გადანაცვლების გამო, გაუწიეს რეკომენდაცია, რომ მსგავსი ცვლილებების დროსაც

საათობრივი ბადე შეთანხმებულიყო განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლას უკვე გამზადებული ჰქონდა მომავალი წლის საათობრივი ბადე, რომელიც გადაგზავნილი ჰქონდათ განათლების და მეცნიერების სამინისტროში და დაწესებულება ელოდებოდა მათგან უკუკავშირს. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, საათობრივ ბადეში შესული იყო როგორც სავალდებულო, ასევე სავალდებულო დამატებითი და არჩევითი საგნები. საათობრივი ბადე ასევე ითვალისწინებდა აბიტურის საათს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, ჰქონდა თუ არა სკოლას დაწესებული ბარიერი მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის ან მობილობის შემთხვევაში. ექსპერტის განმარტებით, სკოლას არ ჰქონდა არანაირი ბარიერი დაწესებულები მოსწავლეთა მობილობის ან ჩარიცხვის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 240 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა მერმისის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა-მერმისის (ს/კ: 203840246) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

5. შპს კანდიდი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლიანა კობესაშვილმა და ლევან ღურჭკაიამ. ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის თქმით, დაწესებულება აკმაყოფილებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამივე სტანდარტით გათვალისწინებულ პირობებს და არ უფიქსირდებოდა ხარვეზები. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. მისი თქმით, სკოლა განვითარებაზე იყო ორიენტირებული, ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმები სხვადასხვა უნივერსიტეტთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა უსმენდა სასკოლო საზოგადოებას, ატარებდა გარკვეული რაოდენობის გამოკითხვას, აანალიზებდა მათ და შედეგებს იყენებდა სამომავლო საქმიანობისთვის. ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულება ითვალისწინებდა მოსწავლეების აზრს და ისმენდა მათ ინიციატივებს, რისთვისაც შუამავალი რგოლი იყო მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას გამოყოფილი ჰქონდა სამუშაო სივრცე მოსწავლეების თვითმმართველობისთვის, მათი ინიციატივით სკოლაში საინტერესო კლუბები მუშაობდა. სასკოლო სასწავლო გეგმით მათ განსაზღვრული ჰქონდათ სხვადასხვა სახის პროექტი და აქტივობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენლებს. მისი თქმით, შეფასების სისტემის ნაწილში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას ოფიციალურად დამტკიცებული ჰქონდა შეფასების რუბრიკები, ერთ-ერთი კრიტერიუმი იყო ექსპერიმენტი. შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, თუ რა აქტივობებს მოიცავდა აღნიშნული კრიტერიუმი. სკოლის წარმომადგენელმა, მერი ქვრივიშვილმა განაცხადა, რომ ეს იყო გასვლითი გაკვეთილი, რომელიც ეხებოდა საგზაო წესების დაცვას. გაკვეთილი წარმოადგენდა მხოლოდ დაკვირვების პროცესს და არ ითხოვდა მოსწავლეების უშუალო მონაწილეობას.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა მისიასთან სასკოლო გეგმის შესაბამისობის საკითხით. მისი თქმით, მისიაში აღნიშნული იყო, რომ ერთ-ერთი ამოცანას სამოქალაქო ღირებულებების შეძენა წარმოადგენდა, სასკოლო საათობრივი ბადის და სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვის შედეგად კი გამოიკვეთა, რომ ის საგნები, რომელიც სამოქალაქო ღირებულებების შეძენას უწყობდა ხელს, საათობრივ ბადეში წარმოდგენილი იყო შემცირებული საათებით. საბჭოს წევრმა მიმართა დაწესებულებას კითხვით, თუ როგორ ხედავდა სკოლა აღნიშნული მისიის განხორციელებას და რამდენად უწყობდა სკოლის კურიკულუმი ხელს სამოქალაქო ღირებულებების ათვისებას. ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის თქმით, სკოლა ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებით ჰქონდათ გაკეთებული პროექტი და წარმოდგენილი იყო შესაბამისი ნამუშევრების მასალები. ექსპერტის აზრით, არაფორმალური განათლებით სკოლა ერთის მხრივ აკომპენსირებდა დროს და ახერხებდა გასულიყო მისით გათვალისწინებულ მიზნებზე ფორმალური განათლების პარალელურად. სკოლის წარმომადგენელმა, მერი ქვრივიშვილმა წარმოადგინა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პროექტები, რომლებიც მდგრადი განვითარების მიზნებზე გადიოდა. ესენი იყო: „მწვანე მოხმარების საერთაშორისო დღე“, „საერთაშორისო კვების დღე“, „ქალაქების საერთაშორისო დღეობა“, „სიღარიბესთან ბრძოლის საერთაშორისო დღე“, „ქალთა საერთაშორისო დღე“, „ნულოვანი დისკრიმინაციის დღე“, „დედამიწის საერთაშორისო დღე“, „კლიმატის დაცვის საერთაშორისო დღე“, „ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე“, „ოკეანის დღე“. მისი თქმით, მოსწავლეთა გარკვეული კონტინგენტი იღებდა მონაწილეობას ამ პროექტებში. გარდა ამისა, ეროვნული არქივის მიერ განხორციელებულ პროექტებში ყოველწლიურად, მემორანდუმების საფუძველზე, მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას და რამდენჯერმე დაჯილდოვდნენ პირველ სამეულში შესვლის გამო. ასევე, მერი ქვრივიშვილმა აღნიშნა, რომ მონაწილეობას

იღებდნენ დემოკრატიული კულტურის სხვადასხვა კომპეტენციის დადასტურების პროექტებში, მასწავლებლის სახლის მიერ განხორციელებულ და განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებში. შესაბამისად, სკოლის წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული პროექტების საშუალებით ხდებოდა მისიით გათვალისწინებულ მიზნებზე გასვლა.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მაღაზონია დაინტერესდა დაწყებითი კლასების საათობრივ ბადეშიც თუ იყო მსგავსი ცვლილებები განხორციელებული და სკოლის წარმომადგენლის მიერ ჩამოთვლილ პროექტებში ასაკობრივი გადანაწილების საკითხით. სკოლის წარმომადგენლის, მერი ქვრივიშვილის თქმით, პროექტებში მონაწილეობას იღებდა ყველა ასაკობრივი კატეგორიის მოსწავლე პროექტების თემატიკის მიხედვით. შესაბამისად, ცვლილება ეხებოდა ყველა საფეხურს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა იკითხა, თუ რომელი საათობრივ ბადით ახორციელებდა სკოლა სასწავლო პროცესს. ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა დააზუსტა, რომ სკოლის საათობრივი ბადე წარმოადგენდა საათობრივი ბადის მესამე მოდელს და შეთანხმებული ჰქონდა დაწესებულებას განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი, ასევე, დაინტერესდა გაძლიერებულ საგნებთან დაკავშირებით და, თუ არსებობდა შესაბამისი კურიკულუმები. ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ მანაც მიმართა სკოლას ვიზიტის პერიოდში აღნიშნული კითხვით, სკოლის უცხო ენის, ქართული ენისა და მათემატიკის წარმომადგენლებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პედაგოგები ძირითადი საგნების კურიკულუმების ფარგლებში ცდილობდნენ სხვადასხვა მეთოდითა და აქტივობით დასახული მიზნების მიღწევას. ამავდროულად, სკოლას ბარიერი ჰქონდა დაწესებული კლასიდან კლასში გადასვლისათვის.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი ასევე დაინტერესდა მოსწავლეთა მობილობასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ ემთხვეოდა მობილობისა და კლასიდან კლასში გადასვლის პრინციპები ერთმანეთს. ამ ორი საკითხის შესაბამისობაში მოყვანის გარეშე, ეკატერინე კვირიკაშვილის თქმით, შესაძლებელი იყო შექმნილიყო დისკრიმინაციული ფაქტი. შესაბამისად, საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა ურჩია სკოლას კლასიდან კლასში გადასვლისა და მობილობის ბარიერი და პროცესი შესაბამისობაში მოეყვანა, რათა თანაკლასელთა შორის უთანასწორობა და დისკრიმინაციის შემთხვევა არ წარმოქმნილიყო. სკოლის წარმომადგენლებმა მიიღეს რჩევა და გამოთქვეს მზაობა აღნიშნული საკითხის გამოსწორებასთან დაკავშირებით. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მაღაზონიამ, გაიზიარა საბჭოს წევრის, ეკატერინე კვირიკაშვილის რჩევა და მიმართა სკოლას გადაედგათ შესაბამისი ნაბიჯები ამ დისკრიმინაციის თეორიული ალბათობის გამოსარიცხად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 600 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კანდიდი საშუალო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600 - ით განსაზღვრის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 4 ოქტომბრის N119 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 4 ოქტომბრიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 4 ოქტომბერს.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს კანდიდი საშუალო სკოლას (ს/კ: 209476173) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 4 ოქტომბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:50 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული


ცენტრი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე

მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭო

საბჭოს მდივანი

ჯინქარაძე მანანა

